KazTransGas
TBILISI

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“
ООО "КАЗТРАНСГАЗ-ТБИЛИСИ"

№ 01-09/787 "15" 04 2014 წ/თ

თბილისი, ფალიაშვილის 114
შპს "მოყვასი 2012" –ის დირექტორს
ბ-ნ თედო სვანიძეს
ტელ: 599140786

თქვენი ა/წლის 15 აპრილის №2869 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თბილისში, ჭავჭავაძის 29-31-33-ში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების წარმოება შესაძლებელია იმ პირობით, რომ ნაკვეთის მიმდებარედ გამავალი გაზსადენები და წნევის რეგულატორი არ დაზიანდება და არ მოყვება შენობა-ნაგებობაში.

პატივისცემით,
სპეციალური მმართველი
ი. გაბუნია

შემსრულებელი:
ხ. ჩომახიძე
ტელ: 237 39 21

საქართველო, თბილისი, 0194
მიცკევიჩის ქ. № 18 ა
ტელ/ფაქსი: (+995 32) 37 64 93
ელ. ფოსტა: info@ktg-tbilisi.ge
ვებ გვერდი: http://www.ktg-tbilisi.ge/

034269

Грузия, Тбилиси, 0194
Ул. Мицкевича № 18 а
Тел/факс: (+995 32) 37 64 93
Эл. почта: info@ktg-tbilisi.ge
Веб-сайт: http://www.ktg-tbilisi.ge/

18 a, Mickevich Street
0194, Tbilisi, Georgia
Tel/fax: (+995 32) 37 64 93
E-mail: info@ktg-tbilisi.ge
Website: http://www.ktg-tbilisi.ge/

KazTransGas TBILISI

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“
ООО “КАЗТРАНСГАЗ-ТБИЛИСИ”

№ 01-09-01/1169 “ 24 ” 06 2014 წ/r

შპს „მოყვასი 2012“-ს დირექტორს
ბ-ნ თ. სვანიძეს,
ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. №114,
ტელ. 599 14 07 86

ბატონო თედო,

2014 წლის 02 ივნისის №06/01 წერილის (შემ. №4067 06.06.2014წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ როგორც უკვე გატყობინებდით ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №29-31-33-ში განთავსებული კაპიტალური გაზმარეგულირებელი პუნქტის (გმპ) რეკონსტრუქციის შესაძლებლობა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ განხილულ იქნება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული გარემოებების (ტექნიკური და ქონებრივი მიზანშეწონილობა) გათვალისწინებით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ 2014 წლის 25 აპრილის №01-09/787 წერილით კომპანიის მიერ შეთანხმებულ იქნა თქვენს მიერ წარმოებული მიწის გათხრითი სამუშაოები, გარკვეული პირობების გათვალისწინებით.

ამასთან გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე გმპ-ს მდებარეობა არ არის შემზღუდველი აღნიშნულ ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით, როგორც ტექნიკური ისე უსაფრთხოების თვალსაზრისით, ვინაიდან სამშენებლო ნორმებისა და წესების (2.04.08-87 „გაზმომარაგება“, ცხრილი №10) თანახმად განსაზღვრული მინიმალური დაშორება შეეხება სხვადასხვა ტიპის შენობა-ნაგებობებს, რომლებიც ფუნქციონირებენ, ხოლო თქვენს მიერ მშენებარე შენობა-ნაგებობა არათუ არ ფუნქციონირებს, არამედ ჯერ არც აშენებულა.

კაპიტალური გმპ-ს გადაკეთება კარადული ტიპის გმპ-თი ტექნიკურად შესაძლებელია, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებული გმპ-ს რეკონსტრუქციის შესაძლებლობა დამოკიდებულია გარკვეულ ტექნიკურ და ქონებრივ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც ამ ეტაპზე არ გვესახება მიზანშეწონილად, ვინაიდან დღეის მდგომარეობით შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ იმყოფება სპეციალური მართვის რეჟიმში.

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ვითარებაში შესაძლებელია განხილულ იქნას კაპიტალური გმპ-ს გაუქმების და თქვენს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე კარადული ტიპის ახალი გაზმარეგულირებელი პუნქტის (როგორც არსებული გმპ-ს ალტერნატიული გაზგამანაწილებელი წყაროს) მოწყობის საკითხი.

საქართველო, თბილისი, 0194
მიცკევიჩის ქ. № 18 ა
ტელ/ფაქსი: (+995 32) 37 64 93
ელ. ფოსტა: info@ktg-tbilisi.ge
ვებ გვერდი: http://www.ktg-tbilisi.ge/

Грузия, Тбилиси, 0194 034415
Ул. Мицкевича № 18 а
Тел/факс: (+995 32) 37 64 93
Эл. почта: info@ktg-tbilisi.ge
Веб-сайт: http://www.ktg-tbilisi.ge/

18 a, Mickevich Street
0194, Tbilisi, Georgia
Tel/fax: (+995 32) 37 64 93
E-mail: info@ktg-tbilisi.ge
Website: http://www.ktg-tbilisi.ge/

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შპს „მოყვასი 2012“-სა და შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ შორის დაიწყოს კონსულტაციები თქვენს კუთვნილ ტერიტორიაზე კარადული ტიპის ახალი გაზმარეგულირებელი პუნქტის (არსებული გმპ-ს ანალოგიური სიმძლავრის) მოსაწყობად ადგილის შერჩევისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“
სპეციალური მმართველი ირაკლი გაბუნია

შემს.: თ. ღვანიძე
595 11 70 07

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ .....

..... 5002977314 ..... 201 წ.

04/07/2014

5002977314

შპს „მოყვასი 2012“-ს დირექტორს ბატონ თედო სვანიძეს

(თბილისი, ფალიაშვილის #114)

ბატონო თედო, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი 2014 წლის 1 ივლისის მომართვის (ბიუროს რეგისტრაციის N1004152314) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N003397714 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 05 ფურცლად;

1 (ერთი) წიგნი 1 (ერთი) ფუთად.

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84 (995 32) 258 484
(995 32) 290 524
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia info@forensics.ge
ქუთაისი 4600, მესხის ქ. №5 (995 32) 258 484
5 Meskhi str. Kutaisi 4600., Georgia info@forensics.ge
ბათუმი 6000, პუშკინის ქ. №145 (995 888222) 79430
Pushkini str. Batumi., Georgia info@forensics.ge

003397714

ექსპერტის დასკვნა № 003397714

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

ორგანიზაცია: შპს „მოყვასი 2012“

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი: თბილისი ფალიაშვილის #114

სახელი და გვარი: თედო სვანიძე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

კახაბერ კახელი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს საინჟინრო ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი, სპეციალობით მუშაობის 7 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე ქ. თბილისის მერიამ თავისი #1486 განკარგულებით შპს „მოყვასი 2012"-ს შეუჩერა და შემდგომ ბათილად ცნო ი. ჭავჭავაძის გამზირი #29-31-33-ში მიმდინარე საცხოვრებელი სახლის-კორპუსის მშენებლობის ნებართვა მოტივირებული იმით, რომ ირღვევა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 4 აპრილის №1-525 ბრძანების მოთხოვნები, რომელიც დღეის მდგომარეობით ჩანაცვლებულია 2011 წლის 18 თებერვლის #1-1/251 ბრძანებით.

წარმოგიდგენთ რა, განსაკუთრებულ საქმეთა ექსპერტის დასკვნას, აგრეთვე ხსენებული ბრძანებების ასლებს გთხოვთ განგვიმარტოთ:

შესაძლებელია თუ არა ზემოთ ხსენებული მშენებლობის გაგრძელება, მითუმეტეს, შპს ,,ყაზტრანსგაზ თბილისი"-ს მიმდინარე წლის 24 ივნისის #01-09-01/1169 წერილის (იხ. დანართი) შესაბამისად ,,გაზმარეგულირებელი პუნქტის მდებარეობა არ არის შემზღუდველი ხსენებულ ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით, როგორც ტექნიკური, ისე უსაფრთხოების თვალსაზრისით".

აგრეთვე, გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი კომპეტენტური მოსაზრება ხსენებული გაზმარეგულირებელი პუნქტის კარადული ტიპის გაზმარეგულირებელ პუნქტად შეცვლის თაობაზე.

უმორჩილესად გთხოვთ, შესაძლებლად შემჭიდროვებულ ვადაში მოგვაწოდოთ პასუხი, ვინაიდან მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მშენებლობის შეჩერებით გამოწვეული მატერიალური ზიანი.

შემოსვლის თარიღი: 01.07.2014წ

გასვლის თარიღი: 04.07.2014წ

დასკვნა

1. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №29-31-33-ში, 1243,00 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი № 01.14.14.004.023) მიმდებარედ არსებული გაზმარეგულირებელი პუნქტის (კაპიტალური შენობა) მოქმედი სამშენებლო ნორმებისა

და წესების СНиП 2.04.08-87* (გაზმომარაგება) თავი 5. ,,გაზმარეგულირებელი პუნქტები (გმპ) და გაზმარეგულირებელი დანადგარები (გმდ)",პუნქტი 5.3. ტექნიკური მოთხოვნების თანახმად; ცალკე მდგომი გაზმარეგულირებელი (გმპ) (საყრდენებზე მოწყობილი კარადული ტიპის ჩათვლით) პუნქტების განთავსების ადგილიდან საცხოვრებელი სახლის კედლამდე მანძილი განისაზღვრება ამავე თავის მე-10 ცხრილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, რომელიც ადგენს, რომ შემყვანებზე 0,6(6)-მდე მეგპა(კგძ/სმ²) გაზის (საშუალო წნევა) წნევის შემთხვევაში მინიმალური მანძილი (ჰორიზონტალურად, სიოში) შენობა-ნაგებობამდე უნდა იყოს 10 (ათი) მეტრი. პუნქტი 5.6.* ტექნიკური მოთხოვნების თანახმად; დაიშვება კარადული ტიპის გმპ-ს საცხოვრებელი შენობის გარე კედელზე დაყენება თუ გაზის შემავალი წნევა არის 0,3 მეგპა(3კგძ/სმ²)-მდე.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანება ,,გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები"-ს დამტკიცების თაობაზე, თავი V. პუნქტი 5. ტექნიკური მოთხოვნის თანახმად; ,,სამშენებლო და მიწის სამუშაოების წარმოება გაზსადენის დასაცავი ზონის (15 მ-ზე ახლოს) ფარგლებში დასაშვებია გაზის მიმწოდებელ საწარმოსთან შეთანხმებით. ამავე ბრძანების 23-ე დანართის (,,მინიმალური მანძილი ცალკე მდგომი გაზმარეგულირებელი სადგურიდან, პუნქტიდან, კარადული დანადგარებიდან შენობა-ნაგებობამდე") ცხრილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შემყვანებზე 0,6(6)-მდე მეგპა(კგძ/სმ²) გაზის (საშუალო წნევა) წნევის შემთხვევაში მინიმალური მანძილი (ჰორიზონტალურად, სიოში) შენობა-ნაგებობამდე უნდა იყოს 10 (ათი) მეტრი. მშენებლობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, აგრეთვე განხილული ნორმებიდან რომელი ნორმა არის უპირატესი, განეკუთვნება სამართლებრივი რეგულირების სფეროს და სცილდება ინჟინერ-ექსპერტის კომპეტენციის ფარგლებს. (იხ. გამოკვლევა)

2. მოქმედი, სამშენებლო ნორმები და წესები СНиП 2.04.08-87* (გაზმომარაგება) თავი 5. ,,გაზმარეგულირებელი პუნქტები (გმპ) და გაზმარეგულირებელი დანადგარები (გმდ)", პუნქტი 5.6*. ტექნიკური მოთხოვნების თანახმად; ,,დაიშვება კარადული ტიპის გმპ-ს საცხოვრებელი შენობის გარე კედელზე დაყენება თუ გაზის შემავალი წნევა არის 0,3 მეგპა(3კგძ/სმ²)-მდე", ხოლო ხსენებული გაზმარეგულირებელი პუნქტის კარადული ტიპის გაზმარეგულირებელ პუნქტად შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება შედის გაზმიმწოდებელი კომპანიის კომპეტენციაში.

კახაბერ კახელი

გამოკვლევა

ექსპერტიზის მიერ მოხდა განმცხადებლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლა-გამოკვლევა და ობიექტის ადგილზე შესწავლა, ექსპერტიზის დანიშვნის დოკუმენტში დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტაცია; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო-ს №890/01-21/შ წერილი, დამოუკიდებელი ექსპერტის დავით ჩახტაურის დასკვნა, შპს ,,ყაზტრანსგაზ-თბილისი"-ს №01-09/787 და №01-09-01/1169 წერილები.

ექსპერტის მიერ გამოყენებულია;

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილება.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანება ,,გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები"-ს დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს ეკონომიკასა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანება.

სამშენებლო ნორმები და წესები СНиП 2.04.08-87* (გაზმომარაგება).

გამოკვლევა პირველ კითხვაზე;

შესაძლებელია თუ არა ზემოთ ხსენებული მშენებლობის გაგრძელება, მითუმეტეს, შპს ,,ყაზტრანსგაზ თბილისი"-ს მიმდინარე წლის 24 ივნისის #01-09-01/1169 წერილის (იხ. დანართი) შესაბამისად ,,გაზმარეგულირებელი პუნქტის მდებარეობა არ არის შემზღუდველი ხსენებულ ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით, როგორც ტექნიკური, ისე უსაფრთხოების თვალსაზრისით".

კითხვა შეეხება ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №29-31-33-ში, 1243,00 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო მიწის (საკ. კოდი № 01.14.14.004.023) ნაკვეთზე მიმდებარედ ნაწარმოებ და ქ. თბილისის მერიის №1486 განკარგულებით (შეჩერებული და შემდგომ გაბათილებული იქნა ი. ჭავჭავაძის გამზირი #29-31-33-ში მიმდინარე საცხოვრებელი სახლის-კორპუსის მშენებლობის ნებართვა) შეჩერებულ, შპს ,,მოყვასი 2012"-ს მიერ ნაწარმოებ მშენებლობას.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილების მიხედვით ... ,,სამშენებლო სფეროს რეგულირების მიზნით, შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების მიღებამდე, აღიარებულ და საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ დაშვებულ იქნეს 1992 წლამდე მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები და მათი ის ნაწილები, რომელთა ალტერნატივა არ არსებობს საქართველოში მიღებული ტექნიკური რეგლამენტების სახით და რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას"...;

საქართველოს ეკონომიკასა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №1-1/251 (საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ) ბრძანებით სამშენებლო დარგში დაპროექტების, მშენებლობის, ექსპლუატაციის, ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ჩატარების ღონისძიებათა უზრუნველყოფის მიზნით, გამოყენებული იქნეს 1992 წლამდე მოქმედი ნორმები კერძოდ, მათ შორის სამშენებლო ნორმები და წესები СНиП 2.04.08-87* (გაზმომარაგება).

მოქმედი, სნ და წესების (СНиП 2.04.08-87*. გაზმომარაგება) თავი 5. ,,გაზმარეგულირებელი პუნქტები (გმპ) და გაზმარეგულირებელი დანადგარები (გმდ)", პუნქტი 5.3. ტექნიკური მოთხოვნების თანახმად; ცალკე მდგომი გაზმარეგულირებელი (გმპ) (საყრდენებზე მოწყობილი კარადული ტიპის ჩათვლით) პუნქტების განთავსების ადგილიდან საცხოვრებელი სახლის კედლამდე მანძილი განისაზღვრება ამავე თავის ცხრილი 10-ის მიხედვით.

ცხრილი 10

გმპ-ში შემავალი წნევა მპა (კგ/სმ2)	მანძილი სიოში ცალკე მდგომი გმპ-დან ჰორიზონტალურად მ-ში			
	შენობა ნაგებობები	რკინიგზისა და ტრამვაის ხაზები (უახლოეს რელსამდე)	საავტომობილო გზები (გზის პირამდე)	საჰაერო ელ. გადამცემი ხაზები
0,6 (6)	10	10	5	არანაკლებ 1,5 ანძის სიმაღლისა
0,6 (6) ზემოთ 1,2 (12)-მდე	15	15	8	იგივე
შენიშვნა: მოცილება მიიღება გარე კედლიდან ან გმპ-ს ყუთიდან, თუ დანადგარი განთავსებულია ღია მოედანზე - შემოღობვის კიდედან				

მოქმედი, სნ და წესების (СНиП 2.04.08-87*. გაზმომარაგება) თავი 2. ,,გაზმომარაგების სისტემები და გაზის წნევის ნორმები", პუნქტი 2.2. ტექნიკური მოთხოვნების თანახმად; ... გაზმომარაგების საშუალო წნევის მილსადენებში გაზის მუშა წნევა უნდა იყოს 500 დპა(0,05კგძ/სმ²)-ზე მეტი 0,3 მეგპა(3კგძ/სმ²)-მდე. თავი 5. ,,გაზმარეგულირებელი პუნქტები (გმპ) და გაზმარეგულირებელი დანადგარები (გმდ)". პუნქტი 5.6.* ტექნიკური მოთხოვნების თანახმად; კარადული ტიპის გმპ-ს შენობის გარე კედელზე დაყენების შემთხვევაში, მანძილი კარადიდან (გმპ-ს კარადა) ფანჯრებამდე, კარებამდე და სხვა ღიობებამდე ჰორიზონტალურად უნდა იყოს არანაკლებ 3მ-ისა, როცა გაზის შემავალი წნევა არის 0,3 მეგპა(3კგძ/სმ²)-მდე და არანაკლებ 5მ-ისა, როცა გაზის შემავალი წნევა არის 0,3 მეგპა(3კგძ/სმ²)-ზე მეტი 0,6 მეგპა(6კგძ/სმ²)-მდე; ვერტიკალური მანძილი კარადიდან ფანჯრებამდე უნდა იყოს არანაკლებ 5მ-ისა.

დაიშვება კარადული ტიპის გმპ-ს საცხოვრებელი შენობის გარე კედელზე დაყენება თუ გაზის შემავალი წნევა არის 0,3 მეგპა(3კგძ/სმ²)-მდე.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანება ,,გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები"-ს დამტკიცების თაობაზე, თავი V. პუნქტი 5. ტექნიკური მოთხოვნის თანახმად; ,,სამშენებლო და მიწის სამუშაოების წარმოება გაზსადენის დასაცავი ზონის (15 მ-ზე ახლოს) ფარგლებში დასაშვებია გაზის მიმწოდებელ საწარმოსთან შეთანხმებით. სამუშაოების დაწყებამდე გაზის მიმწოდებელ საწარმოს წარედგინება სამუშაოების წარმოების გეგმის პროექტი, იმისათვის რომ გამოირიცხოს გაზსადენის დაზიანება. გაზის მიმწოდებელი საწარმო სამუშაოების წარმოების გეგმის პროექტის მიღებიდან 5 დღის ვადაში აცნობებს განმცხადებელს საკუთარ პოზიციას, ამასთან პასუხის გაუცემლობა ითვლება თანხმობად. აღსანიშნავია, რომ ამავე ბრძანების დანართი 23 კვლევით ნაწილში ასახული ცხრილი 10-ის იდენტურია. აღსანიშნავია, რომ დანართში (ცხრილში) საშუალო წნევის (0,3 მეგპა(3კგძ/სმ²)-მდე) და მაღალი (IIკატეგორია) წნევის (0,3 მეგპა(3კგძ/სმ²)-ზე მეტი 0,6 მეგპა(6კგძ/სმ²)-მდე) გაზსადენებისათვის მოქმედებს ერთი და იგივე ნორმის მოთხოვნა.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო-ს №890/01-21/შ წერილი (სააგენტოს უფროსის ხელმოწერა), რომელიც ეხება ... ,,ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №29-31-33-ს მიმდებარედ განთავსებული, ცალკე მდგომი ბუნებრივი გაზის მარეგულირებელი პუნქტის ტექნიკური უსაფრთხოების საკითხს, რომლის სიახლოვეს დაგეგმილია საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. საქართველოში მოქმედი გაზმომარაგების სამშენებლო ნორმებისა და წესების (СНиП 2.04.08-87*), 5.2. პუნქტის მიხედვით ბუნებრივი გაზის მარეგულირებელი პუნქტის განთავსების წესი დამოკიდებულია მის დანიშნულებაზე და ტექნიკურ მიზანშეწონილებაზე და შესაძლებელია მოეწყოს, როგორც ცალკე მდგომი მდგომ შენობაში, ისე ცეცხლგამძლე კარადაში, რომელსაც გააჩნია ცალკე მდგომი საყრდენები. ამავე სამშენებლო ნორმებისა და წესების 5.6.* პუნქტის მიხედვით, თუ კარადული ტიპის ბუნებრივი გაზის მარეგულირებელი პუნქტის შემსვლელი წნევა არ აღემატება 3 კგძ/სმ.კვ-ს, მაშინ მისი დაცილება საცხოვრებელი სახლის შენობის კედლიდან, თუ ის ხანძარმედეგია და არ გააჩნია ღიობები, არ რეგულირდება".

ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №29-31-33-ში, 1243,00 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი № 01.14.14.004.023) მიმდებარედ არსებული გაზმარეგულირებელი პუნქტის (კაპიტალური შენობა) მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების СНиП 2.04.08-87* (გაზმომარაგება) თავი 5. ,,გაზმარეგულირებელი პუნქტები (გმპ) და გაზმარეგულირებელი დანადგარები (გმდ)",პუნქტი 5.3. ტექნიკური მოთხოვნების თანახმად; ცალკე მდგომი გაზმარეგულირებელი (გმპ) (საყრდენებზე მოწყობილი კარადული ტიპის ჩათვლით) პუნქტების განთავსების ადგილიდან საცხოვრებელი სახლის კედლამდე მანძილი განისაზღვრება ამავე თავის მე-10 ცხრილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, რომელიც ადგენს, რომ შემყვანებზე 0,6(6)-მდე მეგპა(კგძ/სმ²) გაზის (საშუალო წნევა) წნევის შემთხვევაში მინიმალური მანძილი (ჰორიზონტალურად, სიოში) შენობა-ნაგებობამდე უნდა იყოს 10 (ათი) მეტრი. პუნქტი 5.6.* ტექნიკური მოთხოვნების თანახმად; დაიშვება კარადული ტიპის გმპ-ს საცხოვრებელი შენობის გარე კედელზე დაყენება თუ გაზის შემავალი წნევა არის 0,3 მეგპა(3კგძ/სმ²)-მდე.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანება „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები"-ს დამტკიცების თაობაზე, თავი V. პუნქტი 5. ტექნიკური მოთხოვნის თანახმად; ,,სამშენებლო და მიწის სამუშაოების წარმოება გაზსადენის დასაცავი ზონის (15 მ-ზე ახლოს) ფარგლებში დასაშვებია გაზის მიმწოდებელ საწარმოსთან შეთანხმებით. ამავე ბრძანების 23-ე დანართის (,,მინიმალური მანძილი ცალკე მდგომი გაზმარეგულირებელი სადგურიდან, პუნქტიდან, კარადული დანადგარებიდან შენობა-ნაგებობამდე") ცხრილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შემყვანებზე 0,6(6)-მდე მეგპა(კგძ/სმ²) გაზის (საშუალო წნევა) წნევის შემთხვევაში მინიმალური მანძილი (ჰორიზონტალურად, სიოში) შენობა-ნაგებობამდე უნდა იყოს 10 (ათი) მეტრი. მშენებლობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, აგრეთვე განხილული ნორმებიდან რომელი ნორმა არის უპირატესი, განეკუთვნება სამართლებრივი რეგულირების სფეროს და სცილდება ინჟინერ-ექსპერტის კომპეტენციის ფარგლებს.

გამოკვლევა მეორე კითხვაზე;

გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი კომპეტენტური მოსაზრება ხსენებული გაზმარეგულირებელი პუნქტის კარადული ტიპის გაზმარეგულირებელ პუნქტად შეცვლის თაობაზე.

მოქმედი, სამშენებლო ნორმები და წესები СНиП 2.04.08-87* (გაზმომარაგება) თავი 5. ,,გაზმარეგულირებელი პუნქტები (გმპ) და გაზმარეგულირებელი დანადგარები (გმდ)", პუნქტი 5.6*. ტექნიკური მოთხოვნების თანახმად; ,,დაიშვება კარადული ტიპის გმპ-ს საცხოვრებელი შენობის გარე კედელზე დაყენება თუ გაზის შემავალი წნევა არის 0,3 მეგპა(3კგძ/სმ²)-მდე", ხოლო ხსენებული გაზმარეგულირებელი პუნქტის კარადული ტიპის გაზმარეგულირებელ პუნქტად შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება შედის გაზმიმწოდებელი კომპანიის კომპეტენციაში.

003397714

ექსპერტის დასკვნა № 003397714

კახაბერ კახელი კ-კ'ხელი

გამოყენებული მასალები

- დოკუმენტის რეგისტრაციის №1004152314 ბარათი.

– №06/07 მომართვა და დანართი მასალები 5 (ხუთი) ფურცლად, დამოუკიდებელი ექსპერტის დავით ჩახტაურის დასკვნა 1 (ერთი) წიგნად.

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილება.

- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანება.

- საქართველოს ეკონომიკასა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანება.

- სამშენებლო ნორმები და წესები СНиП 2.04.08-87* (გაზმომარაგება).

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: კახაბერ კახელი კ-კ'ხელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

TÜRKİYE CUMHURİYETİ
TİFLİS BÜYÜKELÇİLİĞİ

Tiflis, 5 Temmuz 2013

Sayın Tedo Svanidze,
Sayın Davit Sokhadze,

Büyükelçiliğimize gönderdiğiniz mektubta, "Mokvasi 2012" adlı şirket tarafından, Büyükelçiliğimiz yanındaki I. Chavchavadze Caddesi No: 29-31-33 adresinde bulunan 04/023 nolu arsada, Büyükelçiliğimiz bahçe duvarından 7 metre uzaklıkta, 67 metre yüksekliğinde ve Büyükelçiliğimiz yönünde pencere ve balkonları bulunacak çok katlı bir toplu konut inşa edilmesinin öngörüldüğünü bildirmekte ve bu konuda Büyükelçiliğimizin görüşünü sormaktasınız.

Büyükelçiliğimiz bahçe duvarından en az 7 metre uzaklıkta olması şartıyla, sözkonusu arsada 67 metre yüksekliğinde ve Büyükelçiliğimiz yönünde pencere ve balkonları bulunan çok katlı bir konut inşa edilmesinde Büyükelçiliğimizce bir sakınca bulunmamaktadır.

Bilgi edinmenizi saygılarımla rica ederim.

Levent Murat Burhan
Büyükelçi

თურქეთის რესპუბლიკის საელჩო თბილისში

თბილისი, 5 ივლისი 2013 წ.

ბატონო თედო სვანიძე,

ბატონო დავით სოხაძე

ჩვენი საელჩოსთვის გამოგზავნილ წერილში აღნიშნავთ, რომ კომპანია „მოყვასი 2012“-ის მიერ ჩვენი საელჩოს გვერდით, მისამართზე: ი. ჭავჭავაძის გამზ. №29-31-33, მიწის ნაკვეთი: №04/023, საელჩოს ბაღის ღობიდან 7 მეტრი დაშორებით აშენდება 67 მეტრი სიმაღლის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის ფასადი ფანჯრებითა და აივნებით იქნება საელჩოს მხარეს, და გვეკითხებით ამ საკითხზე ჩვენი საელჩოს მოსაზრებას.

ჩვენი საელჩო არ არის წინააღმდეგი, ხსენებულ მიწის ნაკვეთზე აშენდეს 67 მეტრი სიმაღლის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, საელჩოს მხარეს ფანჯრებითა და აივნებით იმ პირობით, თუ აღნიშნული შენობა დაშორებული იქნება საელჩოს ბაღის ღობიდან სულ მცირე 7 მეტრით.

გთხოვთ, მიიღოთ ცნობად.

პატივისცემით,

(ხელმოწერილია)

ელჩი ლევენთ მურათ ბურჰან

სანოტარო აქტი

თბილისი ორი ათას ცამეტი წლის რვა იულისი 08.07.2013

ორი ათას ცამეტი წლის რვა იულისს მე, საქართველოს ნოტარიუსი **ნანა ბაკურაძე**, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №76, პირველი სართული

ვამოწმებ თურქული ენის დიპლომირებული მთარგმნელის მაკა კიკნაველიძის (დაბ. 25.02.1971წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, ბერძენიშვილის ქ. 4, ბინა 15, პირადი №01008018862, პირადობის მოწმობა №დ 0245595, გაცემული თბილისის ვაკის რ/ნის შს სამმართველოს მიერ 29.06.1999წ.) ხელმოწერის სინამდვილეს წინამდებარე დოკუმენტის თურქული ენიდან ქართულ ენაზე თარგმნას.

თარჯიმანმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი УВ №997269 გაცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1993 წელს, სპეციალობით თურქული ენა და ლიტერატურა

მე თარჯიმანი გავაფრთხილე იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს, თარჯიმანმა ჩემს წინაშე განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს თურქულ ენას და უზრუნველყო ზუსტი თარგმანი. მისთვის ცნობილია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე და ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის ნოტარიუსის საზღაური 2 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31. მუხლისა) აგრეთვე დ.ღ.გ 36 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39. მუხლისა): – სულ გადახდილია 4 ლარი და 36 თეთრი.

ნოტარიუსი ნანა ბაკურაძე

